№ 235
სამშაბათი, 31 ოქტომბერი 1895

1877—1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 235
სამშაბათი, 31 ოქტომბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

## იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—4)

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით

## „РУССКОЕ СЛОВО“,

შედგენილი
იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—6).

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ საფაროვისა, ავალიშვილისა, ბ-ნ აბაშიძისა, კ. მესხისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

I

### ქეთევან შალიკაშვილი

1 მოქ. გადმ. პ. ყიფიანის მიერ.

II

### სევილიელი დალაქი

კომედია 4 მოქ. თხ. ბომარშესი, თარ. დ ყიფიანის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა, ბ-ნნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე, საფაროვი, კანდელაკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

რადგან 29 ოქტომბერს არ შესდგა

### საგანგებო კრება
წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ, თანახმად საზოგადოების წესდების § 15-ისა, იგი ხელ-მეორედ დანიშნულ იქმნა 13 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1, მოხსენება გამგეობისა დასამატებელის ხარჯების გადადების შესახებ.

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად.

3, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა

და 3, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(3—1)

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.

2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქაღალდზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიასმი ერ. სუ რათით, მშვენიერს ქაღალდზედ 20 კ.

4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

ნაფიც ვექილის თანაშემწე
გიორგი ბეჟანის ძე

### გვაზავა

ღებულობს საწარმოებლად სასამართლო საქმეებს, **სისხლის სამართლისას**, განსაკუთრებით.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი თ. მუხრან-ბატონის სახლი.
ჩემი ნახვა შეიძლება:
დილით 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
(5—1925—5)

ივანე იაკობის ძე

### დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.
(5—1969—2).

## ახალი ამბავი

—

*** შაბათს, 28 ოქტომბერს, მოხდა კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებას, სხვათა შორის, მოჰხსენდა თხოვნა სახალხო კითხვათა კომისიისა. ხსენებულს კომისიას განუზრახავს გაადიდოს ის შენობა, სადაც იმართება სახალხო კითხვა და სახალხო წარმოდგენები რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზედ. ამ საგნისთვის იკრიბება უკვე თანხაც და, სხვათა შორის, კომისია ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაც სთხოვს 150 მან. შემწეობას. „საზოგადოების გამგეობა და კრება თანაგრძნობით მოეპყრო ამ თხოვნას და გარდასწყვიტა 150 მან. შემწეობა მიეცეს კომისიას. კრებაზედ წარმოითქვა სურვილი, რომ ქართულ სახალხო წარმოდგენათა საქმე დრამატიულ საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს და დაევალა გამგეობას ამ მეთვალყურეობის წეს-რიგის გამორკვევისათვის ზემოხსენებულ კომისიას მოელაპარაკოს.

ამ კრებაზედვე მოხდა შემდეგი არჩევნები: გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. დ. გურამიშვილი და ნ. ისარლიშვილი, გამგეობის წევრის კანდიდატად გ. ლასხიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრად ექიმი ყ. ჩიქოვანი.

*** გუშინ, 30 ოქტომბერს, რკინის გზის გამგეობამ ფოტოგრაფი გაიწვია, რომ ის ადგილები გადაიღოს, სადაც რკინის გზის ლიანდაგია წამხდარი და ან სადაც რაიმე უბედურება მოხდა ამ ნიაღვრებისა და წვიმების გამო.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრება, რომელიც გუშინ-წინ იყო დანიშნული, არ შესდგა და 13 ნოემბრისათვის იქმნა გადადებული.

*** „ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ იუბილარი თავ. რაფიელ ერისთავი საპატიო წევრად ამოირჩია და შემდეგი საპატიო წევრობის დიპლომი მიართვა:

ქართული დრამატიული საზოგადოება. პატივცემულო, ბატონო რაფიელ დავითის ძევ! ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ნიშნად თქვენის მოღვაწეობისა ქართულის თეატრის მიმართ ამოგირჩიათ თავისს საპატიო წევრად. 22 ოქტომბერს, 1895 წელსა.

თავმჯდომარე საზოგადოებისა მიხეილ კვალიაშვილი. მდივანი ივ. მაჭავარიანი“.

*** მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი ნოემბრის პირველ რიცხვებში სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში წავა (გაზ. «კავკაზი»).

*** დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სხდომაა დანიშნული. სხდომა განიხილავს: მიმდინარე საქმეებს და მოხსენებას საზოგადოების საბჭოს მოქმედებისას ამ მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში. სხდომას წევრთა გარდა გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ამ მოკლე ხანში გარდაცვალებულმა თავ. გრ. წერეთელმა, „კვალის“ სიტყვით, სხვა-და-სხვა საქველმოქმდო საქმეებისათვის შესაწირავი დასტოვა ათასი მანეთი. აქედგან ოცი თუმანი ზეპირ-სიტყვაობის ფონდს ერგო და დანარჩენი 800 მან. ასე განაწილდა: ორასი მანეთი საჩხერის ქართულ ბიბლიოთეკას, ორასი—ქალების მომავალს სკოლას ტფილისში, ორასი—„წერა-კითხვის საზოგადოებას“ და ორასიც მოსკოველ ღარიბ სტუდენტებს.

ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა მიენდო თავ. ბეჟან წერეთელს.

*** როგორც ქართლიდგან გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში საშინელი დიდი ნიაღვრები და თავსხმა წვიმები ყოფილა. ამასვე იწერებიან იმერეთიდგან.

ტფილისში მტკვარი იქამდის მოდიდდა, რომ გაზაფხულზედაც არ ყოფილა ამოდენა. ორი წისქვილი ერთმანეთს დააჯახა მიხეილის ხიდთან და ერთი მათგანი თითქმის სრულიად მიამსხვრია. წყალი უცებ მოვარდა ღამე და წალეკა მადათოვის ნახევარ კუნძული და სხვა წყლის პირის დაბალი ადგილები. ვერიდგან მრავალი ტივი მოიტაცა. ტივებზედ ყოფილა 15 მეტივე. როგორც ამბობენ, ეს მეტივეები წყალში დაიღუპნენო. გუშინ-წინ მთავარ-მართებელმა რიყე დაათვალიერა.

*** ბათუმსა და ტფილისს შუა 28 ამ თვიდგან რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა დიდის წვიმებისა გამო შეწყვეტილია. სადგ. შორაპანსა, მარელისსა, წიფასა, რიონსა და ქობულეთში რკინის გზის ლიანდაგი საშინლად წაახდინა წვიმებმა და ზოგან კიდეც წაიღო. მატარებლები ტფილისიდგან მხოლოდ სადგურ მიხაილოვომდის მიდიან. როგორც იუწყებიან, გზა რვა-ცხრა დღეს ადრე არ გაიწმინდება და არ გაკეთდება, გადასხდომით-კი შეიძლება ოთხი დღის შემდეგ დაიწყოს მატარებლების მიმოსვლა.

*** გუშინ-წინ, 29 ოქტომბერს, სადგურ მოლითთან მე-154 ვერსზედ იმ დროს, როდესაც საქონლის მატარებელი მიდიოდა, მატარებელს ქვეშ ლიანდაგი სრულიად გამოეცალა, რადგანაც წყალი ზედ ლივლივით გადადიოდა და ლოკომოტივი და მასთან სამი ნავთით სავსე ქვაბი ლიანდაგიდგან გადაცვივ-

დნენ. ამის გამო მოკლულ იქმნა ერთი კონდუქტორი. არ იციან ჯერ, იქნება სხვაც იყოს ვინმე დაშავებული. მთელის ხუთის ვერსის მანძილზედ ლიანდაგი წყლით არის დაფარული.

*** კიდევ გვატყობინებენ პროვინციებიდგან: ქოროხი საშინლად მოდიდდა; მთელი ხეობა წალეკა. მიმოსვლა სრულიად შეუძლებელი გახდა; ხალხი დიდს გასაჭირშია. ბათუმიდგან ცეცხლის გემი გაგზავნეს მისაშველებლად.

*** სურამი: მდინარე სურამულა ისე უცბად მოდიდდა, რომ მის მახლობლად მცხოვრებთ ძლივს მოასწრეს დარჩობას გადარჩენა. სურამის ნოტარიუსის კანტორაში წყალი შევარდა და მხოლოდ ადგილობრივის ჯარის დახმარებით ძლივს-ძლივობით გადაარჩინეს ნოტარიუსის სახლობა და ზოგიერთი ქალალდები.

მიხაილოვის ახლო ერთი ხიდი სრულიად წაიღო წყალმა.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ მრავალ ადგილას ბათუმსა დ ტფილისს შუ ტელეგრაფის ბოძები დაუგლეჯია ნიაღვრებს, ასე რომ ჯერ-ჯერობით დეპეშები არ მოდის ბათუმიდგან. ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა დიდად მეცადინეობს, რაც შეიძლება მალე შეაკეთონ ტელეგრაფის ქსელი, თუ სადმე გაფუჭებულია.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო იოსებ პაატის ძის მგალობლიშვილისაგან 117 მან. და 10 კ., რომელიც შეუგროვებიათ თელავის მაზრაში რ. ერისთავის სახელზედ დასაარსებელის ფონდის სასარგებლოდ.

*** შულავერი: ჩვენში უკვე გათავდა რთველები, მაგრამ წრევანდელს რთველებს რთველები არ დაერქმევა, რადგან ყურძენი, როგორც საზოგადოდ სხვაგან, ჩვენშიაც ნაკლები იყო. ალაგ-ალაგ თუ შეხვდებოდით რიგიანად მსხმოიარე ვენახს. ზოგიერთ ვენახის პატრონს შედარებით შარშანდელ მოსავალთან წელს მესამედიც არ გამოუვიდა. წრევანდელი ჩურჩხელები კოწახურის წვენში ეგონება კაცს ამოვლებული, ისე მჟავეა.

*** გორი: აგერ სამი თუ ოთხი დღე იქნება, რაც ჩვენკენ განუწყვეტლივ წვიმს. 28 ოქტომბერს, საღამოს 10 საათი იქნებოდა, როდესაც უცბად მოვარდა მდ. მეჯუდა, რომელიც $11^1/_2$ საათამდე მატულობდა და ღამის სამი საათის მერე იკლო. აღელვებული მეჯუდა მთლად მოედო გორის განაპირა მეკომურთ. მცხოვრებლებმა საშინელი წივილკივილი ასტეხეს. წმინდა-წყლელები (წმინდა-წყალს გორის ნაპირის ერთ ნაწილს ეძახიან) წელამდე წყალში იდგნენ გათენებამდის. ხალხი ვერ ბედავდა მიშველებას, მხოლოდ გათენებისას ურმებით გამოასხეს წყლიდგან ქალაქისაკენ. აღელვებული მეჯუდა იმდენად დიდი მოდიოდა, რომ გორის სადგურის საწყობთან ლიანდაგის პირად დაგროვებული 5,000 ფუთი კომბოსტო თან გაიტანა. მეჯუდის ადიდებას „ივერეთის ტბის“ გახეთქას აბრალებენ.

*** დაბა ოქუმი: სამშაბათს, 24 ოქტომბერს, ჩვენის საყვარელი პოეტის თ. რაფიელ ერისთვის სადღეგრძელოდ გარდაიხადეს დ. ოქუმის ეკკლესიაში პარაკლისი. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

*** ს. ტირძნისი, (ქართლი): ჩვენში წელს ძრიელ ნაკლებად მოვიდა სულადი, ღვინოც აგრეთვე—ხოლო ხილი, რომელიც წინად ასე ბლომად მოდიოდა ჩვენში, წელს არც-კი დაგვიძლევია.

# ადრესები

ჩვენო მოძღვარო!

დღევანდელ ღირს შესანიშნავ დღეს თქვენის ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისა სამშობლო ენისა და ლიტერატურის ასპარეზზედ, ჩვენ, თქვენი მოწაფენი და წარმომთქმელნი მშვენიერის ქართული ენით თქვენგან დაწერილის აზრებისა, მოგიძღვნით სალამს და დიდს პატივისცემას. ეს დაფნის გვირგვინი მიიღე ჩვენგან ისე, ვითარცა უძველესს დროებში ბრძენნი ბერძენნი აგვირგვინებდნენ თვისთა ტკბილ-მგოსანთა და სურათნი, აქ, ამ ალბომში, გამოსახულნი იყოს-მცა თქვენთვის მოსაგონებლად იმისა, რომ თქვენის მშვენიერი, ტკბილი ენით ქართველ ერს ვესაუბრებოდით. მასწავლებელო, ნუ მოგვაკლებ ამ ტკბილ ენას, რომ კიდევ დიდხანს ისიამოვნოს ჩვენმა ქვეყანამ!!

ქართული დრამატიული დასი.

დიდად პატივცემულო და მხცოვანო, ბატონო რაფიელ!

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მოგვანდო ჩვენ გამოგიცხადოთ უღრმესი პატივისცემა და მადლობა თქვენ, რომელიც აგერ თითქმის 50 წელიწადია ითვლებით ქართულის თეატრის შესამჩნევ მოღვაწედ. როდესაც ქართული თეატრი პირველად დაიბადა, მაშინ თქვენ უკვე ხუთის წლის საზოგადო მოღვაწეობა გეთვლებოდათ. თქვენ მაშინვე აღმოუჩინეთ ერთგულობა და სიყვარული ახლად დაბადებულს საქმეს. თქვენის შორს-მხედველობით მაშინვე მიხვდით, თუ რა ძლიერ იარაღათ უნდა გარდაქცეულიყო ქართული თეატრი ჩვენის ერის საზოგადოებრივის გრძნობების გასაღვიძებლად—ამიტომ არ დაგიშურნიათ არც შრომა, არც თქვენი ღვთიური ნიჭი, რომ ნორჩი საქმე მკვიდრ ნიადაგზედ დამდგარიყო...

იყო დრო, როდესაც ჩვენს თეატრს არ ჰქონდა რეპერტუარი და არც ჰყავდა მაყურებელი. ეხლა, ღვთით ამ მხრივ საქმე უკეთ არის და ამ საქმის გაუმჯობესებაში თქვენ დიდი და დიდი სამსახური გაგიწევიათ.

ეხლა ქართული თეატრის საქმე უკვდავია ისევე, როგორც ის ერი, რომლის აღორძინებას იგი ემსახურება და ამ უკვდავთა შორის თქვენი სახელიც უკვდავია. ქართული დრამატიული საზოგადოება ბედნიერია მით, რომ თქვენისთანა პატიოსანი მოღვაწე იმის წევრად ითვლება. დღეს ეს საზოგადოება გთხოვთ, მის მადლობასთან ერთად მიიღოთ აგრეთვე წოდება ქართულის დრამატიულის საზოგადოების საპატიო წევრისა.

## კორესპონდენცია.

ქ. განჯა. ჩვენ, განჯისა და განჯის სადგურის მოხელე ქართველობამაც, მეძლებისა დაგვარად ვიდღესასწაულეთ ჩვენის საყვარელი პოეტის თ. რაფიელ ერისთავის იუბილე. შევიტყეთ თუ არა, რომ პროვინციებშიაც სდგება კომიტეტები, ჩვენც მაშინვე შევუდექით საქმეს, რომ ღირსეულად შევხვედროდით საყვარელ პოეტის იუბილეს. 22 ოქტომბერს ნაწირვევს გადავიხადეთ პარაკლისი, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი განჯის ქართველობა. პარაკლისის დაწყების წინ დეკ. მ. მძინარაშვილმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომლითაც დაუსურათა მსმენელთ თ. რაფიელ ერისთავი და მისი მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზედ:

«სასიხარულო შემთხვევაა ის, რისთვისაც ჩვენ შევიკრიბენით დღეს ამ წმიდა ეკკლესიაში, ივერიელნო!

საგანი ამ სასიხარულო დღესასწაულისა არის ჩვენი დიდად პატივ-საცემელი, ღვაწლით შემოსილი პოეტი თ. რაფ. ერისთავი. ვინ არ იცნობს ამ კაცს? ვისაც-კი რაიმე შეუსწავლია ამ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში, ვგონებ ამ სამშობლოს მოყვარულს ადამიანს ყველა ჩვენგანი იცნობს. დღეს 50 წელი შესრულდა, რაც ეს კაცი დაუღალავად და უსასყიდლოდ მუშაობს ქართულ მწერლობისათვის. ადვილი არ არის ამ დროში კაცი სრული ნახევარი საუკუნე ემსახუროს უბიწოდ და ერთგულად სიმართლესა და თავისს სამშობლოსა, როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი რაფიელი. უეჭველად ამისთანა შემთხვევაში უნდა წინ უძღოდეს კაცს განგება ღვთისა და ეწეოდეს მადლი და წყალობა მისი. სამოც-და-თერთმეტი წლის მოხუცი რაფიელი დღესაც კიდევ არ აძლევს მოსვენებასა თავისს მოხუცებისაგან დასუსტებულს მარჯვენასა და კვლავ ამდიდრებს ქართულ მწერლობასა თავისის მამულის შვილების სახელმძღვანელოდ. რაფიელის ქართული სამწერლო ქმნილებანი მრავალია და ქართველი ხალხის აღზრდას, მის წარმოძლინარეობას და ღირსებას უმეტესად შეეხება და არ ვიცი, რომელი მათგანი ამ ჟამად მის სახსოვრად მოვიხსენიო. უმეტესად ღირსია ყურადღებისა მისი „სამშობლო ხევსურისა“ და ის ლექ-

# ფელეტონი

პოეტს.

ვინ ხარ, შენ კაცო, რომ აქებ
და მადლობ გათქმულს პოეტსა,
იგი არს ღვთისგან რჩეული,
სიტყვაც მას მისგან მოეცა;
ზეგარდმო წარმოგზავნილი,
ამ ქვეყნად მოციქულია,
უნდა ვიწამოთ, ვით მცნება,
რაც სიტყვა მისგან თქმულია,
ჩვენდა მნათობად, რომლისგან
იგი არს მოვლინებული,
მასა ვმადლობდეთ, ვინც დღენი
გვინათა დაბნელებული.

ახმეტელი.

## კახეთში ღვინის მოუსავლობისა და პურის გაიაფების გამო.

ჩვენის გაზეთის მე-233 ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია კახეთიდგან, რომელშიაც ბ-ნი „ანი“ გვიხატავს დიდს გაჭირვებას იქაურის როგორც თავად-აზნაურისას, აგრეთვე გლეხისას. ეს უდიდესი გაჭირვება გამოიწვია ღვინის მოუსავლობამ. ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო ჩვენის საზოგადოებისათვის: ჯერ გაზაფხული იყო, როდესაც ისმოდა უნუგეშო ხმა ვენახების წახდენის გამო. მეტის-მეტი ნოტიო, ქარიანმა და ცივმა გაზაფხულმა ძლიერ დაზარალა ვენახები და თავადვე, ჯერ ვიდრე ყვავილობა გათავდებოდა, ვაზები უნაყოფოდ დასტოვა.—რაც ამისთანა უბედურმა გაზაფხულმა დააკლო, ზაფხულში ობმა და ნაცარმა დაუთავა მით უფრო, რომ გულ-ნაკლულმა მევენახეებმა ვეღარ გაჰბედეს წამლობა, რადგანაც მოსავლის პირი იმედს სრულიად არ აძლევდა ხარჯის დაბრუნებისას.

„იქ სადაც შუათანა მოსავლის დროსაც-კი,—იწერება ჩვენი კორესპონდენტი,—გლეხი უთუოდ სამსა და ოთხს საპალნე ღვინოს ჩაასხამდა ქვევრებში, დღეს მხოლოდ გოდრით მიიტანა ამ გლეხმა, მწარედ ატირებულმა, ყურძენი საწნახელში“... „თავადიშვილი, რომელიც წელიწადში ხუთსა და ექვსს ურემს ღვინოს გაჰყიდდა, დღეს იძულებულია ხუთი და ექვსი საპალნით მოურეცხოს ქვევრებს ძირი“... თვით საუფლისწულო მამულებშიაც-კი, სადაც ვენახებს კეთება არ აკლიათ, ჩვენის კორესპონდენტის სიტყვით, ერთი მეათედი მოსავლისა ძლივს მოუვიდათ.

მეტის-მეტად დაზარალებულა უფრო ბარი ადგილების ვენახები და ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ უმთავრესი მიზეზი მოუსავლობისა გაზაფხულის უდროო სიცივეები ყოფილა.

რაც შეეხება პურის მოსავალს, იგი თუმცა უხვი არის, მაგრამ სრულიად არც ბაზარი აქვს და არც ფასი: ფუთი 8—9 შაურის მეტად არ იყიდება. გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, გავაზელებს გამოაქვთ სიღნაღში მზად დაფქული პური და იქაური ალაფები ფუთს აბაზათა ყიდულობენ...

თითქმის ამისთანავე უნუგეშო ხმები ისმის ქართლიდანაც. ამბობენ, რომ მარტო ატენის ხეობაში ვენახებმა ცოტა თუ ბევრი მოსავალი მისცესო და დანარჩენ ადგილებში-კი ვენახები სულ წამხდარა. ზოგიერთ ადგილას, როგორც ქართლში, ისე კახეთში ვენახები გაუფუჭებიია სეტყვასაც. პურის მოსავალს არც ქართლში ემდურებიან, მაგრამ უბაზრობას მეტად უჩივიან...

ღვინის მოუსავლობის გამო კახეთში ამ ჟამად იმისთანავე მოვლენასა ვხედავთ, რომელიც ხდებოდა რუსეთის სოფლებში საშინელ სიმშილობის დროს 1891 წელში: გლეხ-კაცი და თავად-აზნაურნი ჰყიდიან მეტად მცირე ფასად თავიანთ საქონელსა და იმით სულს იბრუნებენ. ოც-და-ხუთ მანეთიანი ფური ისყიდება რვა-ცხრა მანეთად თურმე!.. («კავკაზ»), № 284).

ვინც რიგიანად არ იცის ჩვენის სოფლის მდგომარეობა, იგი არ დაიჯერებს, რომ ულვინობამ იგივე საშინელი უბედურება გამოიწვიოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, როგორც უპურობამ, როგორც სიმშილობის დროს; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა დავემოწმოთ, რომ ეს სწორედ ეგრეა და საქართველოს საუკეთესო სავენახო რაიონებში ულვინობა იგივე უპურობა არის.

ამგვარი მეტად სავალალო გარემოების მიზეზი ის არის, რომ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სადაც საუკეთესო სავენახე ადგილებია, იქ პურის მოსავალი მეტის-მეტად ნაკლებია ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწირი ნიადაგი, რომელზედაც ვაზი მშვენიერადა გვარობს და საუკეთესო ღვინოს იძლევა, მაგრამ მეტად ხელს უშლის პურის მოსავალს, რადგანაც პურს კარგი ნოყიერი და ღონიერი მიწა უნდა. მეორეც იმიტომ, რომ შუაგულ კახეთში და საზოგადოდ ყველგან, სადაც საუკეთესო ვენახებია, სახნავ-სათესი მიწები ნაკლებად არის: რადგანაც ხვნა-თესვას მეტოქეობა ვერ გაუწევია მევენახეობასთან და პური ადგილს უთმობს ვაზსა, იმიტომ, რომ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ვაზი უფრო დიდის შემოსავლის იმედს იძლევა კახეთში. ბევრს ადგილას გაიგონებთ გლეხ-კაცობისაგან, როგორც სხვა მემამულესაგან, რომ იმათ თავიანთთვის საკმაო პურიც ბევრჯელ ვერ მოჰყავთ და როდესაც ღვინოს გაჰყიდიან ხოლმე, მაშინ იმ ღვინის ფულით ყიდულობენ როგორც პურსა, აგრეთვე სხვა-და-სხვა საჭირო ნივთებსა. ვენახის შემოსავალი სწორედ ამიტომ უძლევა აგრეთვე ყოველივე სახელმწიფო გარდასახადს და სხვა მრავალგვარ საჭიროებას. ყველამ კარგად იცის, რომ ამ დროებაში თუ გლეხ-კაცობასა და სხვა გვარ სოფლის მეურნეთ ნაღდი ფულის შემოსავლის წყარო არა აქვთ, მაშინ ცხოვრებაც მოუხერხებელია. დროებითი მოსპობა ფულის შემოსავლის წყაროსი დიდ უბედურებას გამოიწვევს ხოლმე ხალხის საეკონომიო ცხოვრებაში. 1891—92 წლების რუსეთის სიმშილმა იმიტომ უფრო გამოიწვია მრავალი საშინელი შედეგი, რომ პურის მოუსავლობით რუსეთის გლეხს გაუწყდა ერთად ერთი წყარო ფულის შემოსავლისა, რადგანაც პურის გასყიდვა ერთად-ერთს ფულის შემოსავლის წყაროს შეადგენს რუსეთის გლეხის მეურნეობაში.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამ ჟამად ჩვენის კახეთის მევენახე გლეხნი და თავადნი—ღვინის მოუსავლობამ შემოსავლის წყარო მოუსპო მათ და სხვა გაჭირვების გარდა უსარჩოდ დასტოვა და დიდი ნაწილი ჩვენის სოფლის მკვიდრისა, უეჭველად დაიმშევა...

მეორე უნუგეშო გარემოება ჩვენის სოფლის ცხოვრებისა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში იზიდავს ყურადღებას და რომელზედაც ლაპარაკია, ორივე ზემოხსენებულ კორესპონდენციებში, პურის ფასის მეტის-მეტად დაცემაა. ქიზიყში და კახეთში ახლა ფუთი ხორბალი 8—9 შაურად ისყიდება. ამისთანა მდგომარეობამ არ შეიძლება რომ გული არ აუცრუვოს ჩვენს მხვნელ-მთესველს თავისს მუშაობაზედ და მით არ დასცეს და დაბლად არ დასწიოს მთელს საქართველოში ხვნა-თესვის ახლანდელი ტეხნიკა დ

სები, რომელნიც შეეხებიან გლეხკაცის ყოფა-მდგომარეობას. ეს ლექსები შეიცავენ ღრმა აზრებსა, შესანიშნავ გულსაძგერებელს მოძღვრებას და კაცთ-მოყვარეობის მოვალეობის აღსრულებას აღუძრავენ ყოველს უგრძნობელსაც, არამც-თუ გრძნობიერს ქართველს. ჭეშმარიტად სანატრელია ამისთანა კაცი ყველა ეროვნებაში. ნეტარება იმისთანა მოკვდავს, რომელიც თავისის ღვაწლით და დაუღალავის ფიქრით და შრომით თავისს თავს უკვდავ მოსახსენებლად გაუხდის თავისს ერის შთამომავლობასა. ვინ არ უნდა მიჰბაძოს ამისთანა კაცსა, ვინ არ უნდა ეცადოს ამისთანა ქართველობასა! წარმოიდგინეთ, რა დიდი ზნეობრივი სწავლა ისახვის თ. რაფიელის ლექსებში გლეხის შესახებ, რომელშიაც ის მარტავს სიყვარულსა და სიბრალულს თავისს უმცროს მოძმისადმი, — ბედისაგან დავიწყებულ და დამდაბლებულ გლეხისადმი — და აღუღორძინებს კაცსა სურვილსა და მოვალეობას მისის აღდგინებისათვის. ლექსში: „სამშობლო ხევსურისა" პოეტი უღვიძებს კაცს სამშობლოის ერთგულს მოვალეობას და სიყვარულს. უნდა გვრწამდეს, რომ ღმერთს უყვარს ის ხალხი, რომელსაც ამისთანა კაცებს გამოუჩენს, გაუზრდის და უცოცხლებს დიდხანს, რადგანაც ესენი შეადგენენ შთამომავლობისათვის დაუფასებელს საუნჯეს.

შეიძლება ეს კაცი ამ 50 წლის განმავლობაში, დაუღალავად მშრომელის სამწერლო ასპარეზზედ, არავითარის ყურადღებისა და ჯილდოს ღირსად არა ჰრაცხდა თავისს შრომასა, მაგრამ დროებამ და ეროვნულმა გრძნობამ დღეს თითონ დააფასეს ეს კაცი და მისი ღვაწლი. მთელი საქართველო დღეს შემოკრებილა და გულით დღესასწაულობს იმის 50 წლის იუბილეს; ათას ნაირად ცდილობს საქართველო ღირსი და ჭეშმარიტი მადლობა გამოუცხადოს თავისს საყვარელსა და დაუფასებელს პოეტსა. ამისათვის სხვა ქართველთა შორის ვთხოვოთ, ძმანო და დანო, მას, რათა ჩვენც გვიგულოს თავის ღრმად პატივის-მცემელად. ჩვენც აქ, წინაშე მღვთისა, გარდავიხადოთ მისი სადღეგრძელო პარაკლისი, შევევედრნეთ მის მოსახელე წმიდა ანგელოსს რაფიელს, რათა დაიცვას შემდეგისათვისაც მისი სიცოცხლე მრავალ ჟამიერ".

ამ თვის 22-სავე ქ. განჯის სადგურზედ გამართული იყო რაფიელის სახელობაზედ ქართული წარმოდგენა, რომელზედაც, სხვათა შორის, წაიკითხეს იუბილარის სცენები და ლექსები: „ყანწი" და „სამშობლო ხევსურისა". წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო! ზალაში, სცენის წინ, ჩამოკიდებული იყო რაფიელის სურათი, ცხოველი ყვავილებით შემკული. მაგრამ მარტო ამაში არ გამოხატულა პატივისცემა და სიყვარული პოეტისადმი. იმ დღესვე აქაურმა ქართველობამ (როგორც თვით განჯისამ, ისე განჯის სადგურისამ) რაფიელს გაუგზავნა ადრესი და სალიტერატურო ფონდს—იუბილარის სახელობაზედ 100 მან. ქალებმაც გამართეს ხელის-მოწერა რაფიელის სახელობაზედ შემდგარ ფონდის სასარგებლოდ.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ სიხარულით ერთი გარემოება: აქაურ ქართველ საზოგადოების წევრნი არაფერ ქართულ საქველ-მოქმედო და საზოგადო საქმეში ერთმანეთს არა რჩებიან უკან და შემწეობას უწევენ ერთმანეთს როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად.

ვ. ჯაფარიძე.

---

## რუსეთის ცხოვრება.

—

გაზეთების სიტყვით, დეკემბერში პეტერბურგს მოიწვევენ ყველა გუბერნატორთა კრებას ზოგიერთ საყურადღებო ადმინისტრატულ საგანთა განსახილველად.

—

როგორც გაზ. „ნოვოე ვრემია" სწერს, ვარშავის უნივერსიტეტში ხელ-ახლად აპირებენ საეკლესიო ისტორიის კათედროს გახსნას.

—

გზათა სამინისტრო, რომელიც ამ ჟამად იმის განხილვაშია, თუ როგორი სპეციალური სასწავლებელი დააარსოს გზათა ინჟენერების მოსამზადებლად, იმ აზრს ადგას თურმე, რომ სასწავლებელი პარისში არსებულ Ecole politechnique-ის ტიპისა იყოს.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

აი, რას ამბობს ერთი რუსული გაზეთი შესახებ სემინარიელების უმაღლესს საერო სასწავლებელში მიღებისა:

მიზეზი, რომელმაც აიძულა მთავრობა მოესპო მე-ოც-და-ათე წლებში სემინარიელების უმაღლესს საერო სასწავლებლებში მიღება, გარეგანი და დროებითი იყო. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მეო,— ამბობს წერილის ავტორი,—არ შემიძლიან ვსთქვა, ვითომც გიმნაზიებში კურსდამთავრებულნი უფრო მომწიფებულნი იყვნენ გონებით, ვიდრე სემინარიაში კურს-დამთავრებულნი; საფუძვლიანად შეგვიძლიან დავამტკიცოთ სრულიად წინაამდეგი. პირადმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სემინარიელები უფრო შემთვისებელნი არიან, ვიდრე გიმნაზიელებიო.

ავტორი ამ წერილისა ყოფილა პროფესორად კიევში ერთსა და იმავე დროს სასულიერო აკადემიაშიც და უნივერსიტეტშიაც.

---

## უცხოეთი

—

**იტალია.** იტალიის გაზეთები გულის შემაწუხებელ წინათ-გრძნობით არიან აღვსილნი. ერთი რომაელი კორესპონდენტი თავისს წერილში სათაურით „ხმები ომის შესახებ" ამბობს, რომ რომის ოფიციალურ სფერებში დიდად შიშობენ მშვიდობიანობის დარღვევის გამოო. გაზ. „ტრიბუნა" ამტკიცებს, რომ გერმანია და საფრანგეთი საცაა ერთმანეთს ომს აუტეხენ და იტალია-კი მზად არ არისო. გერმანიის გაზეთებს რომიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ იტალიის მთავრობამ სამხედრო მინისტრის წინადადებით გარდასწყვიტა მოუმატოს ქვეითა ჯარში ყოველ როტას ორმოციდგან ოთხმოც-და-ათამდე კაცი.

—

**საფრანგეთი.** კლემანსომაც უძღვნა ახალს სამინისტროს წერილი, რომლის სათაურია „გაჰბედეთ!" კლემანსო სწერს: „როგორც სჩანს, რეფორმათა მტრები მოსვენებას არ მისცემენ ახალს სამინისტროს; ეს სამინისტროსთვის ბედნიერი გარემოება არის, რადგანაც მისგან მოქმედებასა და მოღვაწეობას მოითხოვს. თუ სამინისტრო მხოლოდ მტრის მოგერებით იჩენს თავს, მისი საქმე დაღუპულია. ხოლო თუ დაუყოვნებლივ შეუდგება დაპირებულ რეფორმების განხორციელებას, ის ხალხისა და საზოგადოების პატივისცემას და თანაგრძნობას დაიმსახურებს. თუ სამინისტრომ ყოყმანი დაიწყო, მისი დღეები დათვლილია, თუ გამბედავად შეუდგება რეფორმატულს მოღვაწეობას, გამარჯვებას ნახავს. მშვენიერი შემთხვევა გარგუნათ ბედმა, ბატონებო! მაშ „გაჰბედეთ!"

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** საცენზურო წესდების 178 მუხლის ძალით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ დაადგინა: აღკრძალულ იქმნას წვრილ-წვრილად გასყიდვა გაზ. „რუსკია ვედომოსტი"-სა.

**პარიჟი.** ოსმალეთში ამ უკანასკნელად მომხდარ ამბებისა გამო საფრანგეთის ხმელთა შუა ესკადრის ერთი რაზმი თავისს წლიურს მოგზაურობას დაიწყებს აღმოსავლეთის ნავთსადგურების დასათვალიერებლად; ეს წრევანდელი მოგზაურობა წარსულ წლებთან შედარებით ერთის თვით ადრე დაიწყება. ეს რაზმი ამ დღეებში გავა სამოგზაუროდ.

**კონსტანტინოპოლი.** ვანში ვალად ნამყოფი ბახრი-ფაშა, რომელიც თანამდებობიდგან ინგლისის ელჩის წარდგენით იქმნა დათხოვნილი, რადგანაც სომხების წინაამდეგ ჰმოქმედებდა, კარგის სამსახურისათვის ოსმანიეს ორდენით იქმნა დაჯილდოვებული. ამის გარდა დაჯილდოვებულ იქმნა მრავალი ოფიცერი, რომელნიც სომხეთში წესიერების აღმდგენ ჯარებში მსახურებდნენ. დღევანდელ გარემოებათა გამო ამ ამბავს დიდს ყურადღებას აქცევენ. რაღაც გაუგებარის მიზეზისა გამო 100 სომეხი შეიპყრეს. ახალი კაბინეტი რეაკციონურ პოლიტიკის წარმომადგენელად ითვლება. სივიდგან იუწყებიან, რომ იქაურ სომეხთა სოფლებში მრავალი მოუკლავთ და გაუძარცვავთ. ასურეთიდგანაც სამწუხარო ამბებს იუწყებიან. როგორც

---

მისი მომავალი. მხოლოდ ჩვენი კორესპონდენტნი, როგორც საზოგადოდ ჩვენის სოფლის ინტელლიგენცია, ძლიერ ახლო ეძებენ ამ საქვეყნო უბედურების მიზეზებს. მათის აზრით ყველაში დამნაშავეა სოფლის მოვახშეები და მძარცველები, წვრილმანი ვაჭრები... რასაკვირველია, არ შეიძლება რამდენიმე მავნე გავლენა არ იქონიონ ამ წვრილფეხა ვაჭრებმა, მაგრამ ბევრჯელ მათი გავლენა ერთის სოფლის საზღვარს გარეთაც არ გადის ხოლმე. პურის ფასების დაცემაში უფრო ძლიერ, უფრო საყურადღებო და ჩვენის სოფლის მეურნეთათვის უფრო ძნელად დასანახავი მიზეზი და საგანი არის. ეს მიზეზი საქვეყნო მსოფლიო (всемірный) ბაზარში უნდა მოვნახოთ. ეს ქვეყნო ბაზარი თავისის მძლავრის ხელით მოქმედებს მთელს ქვეყანაში, ყველა სახელმწიფოებში ჩვენთან ერთად სჩივიან პურის ფასების დაცემას: ამისთანა ჩივილი ისმის ინგლისიდგან, საფრანგეთიდგან, გერმანიიდგან და თვით ამერიკიდგანაც. ყველგან მთავრობა დიდის ყურადღებით მოეკიდა ამ მეურნეობისათვის მავნე ამბავს, პარლამენტებმა კომისიები დააარსა ამ დიდის საგნის შესასწავლად. რუსეთში ამისთანა კომისია 8 წელიწადი მუშაობდა. ბევრი პროექტები შესდ[illegible] ბევრი აზრები წარმოითქვა ა[illegible]ს გამო, მაგრამ იგინი თი[illegible]რთ-ხმად იმას ამბობენ, რო[illegible] საერთო გარემოების აუსაცილებლად კერძო სახელმწიფოები თითქმის სრულიად ულონოდა სთვლიან თავიანთ თავს. ყველანი ამბობენ, რომ უმთავრესი მიზეზი ფასების დაცემისა მწარმოებელთა მეტოქეობაა მთელის ქვეყნის (მსოფლიო) ბაზარზედ არის შედეგი იმ ეკონომიურ ბრძოლისა, რომელსაც სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მწარმოებლები ერთი-ერთმანეთს უცხადებენ საქვეყნო ბაზრებზედაო. ეს საქვეყნო საეკონომიო ომისა და ბრძოლის შედეგიაო, რადგანაც ყველა სახელმწიფო სცდილობს, რაც შეიძლება ბევრი გაჰყიდოს თავისი ნაწარმოებისა და ამ სახით ხდება სხვა სახელმწიფოების მეტოქედ...

უპირველესი მიზეზი პურის ფასების დაცემისა ის არის, რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში დიდ-ძალი პური მოდის რუსეთიდგან და სდევნის ჩვენსას, ჩვენ ქვეყანაში ნაწარმოებ პურებს არამც თუ ტფილისის ბაზრიდგან, არამედ თვით იმ სოფლების ბაზრებიდგანაც-კი, რომლებიც ამ უკანასკნელ დრომდის საქართველოს ბეღლებად ითვლებოდნენ. ქიზიყის შუაგულში რუსეთის ფქვილი მეტოქეობას უწევს იქვე მოწეულს პურს... ბატონის ივანგულოვის გამოკვლევიდგანა სჩანს, რომ ტფილისში 1892 წ. მოუტანიათ სხვა-და-სხვა გვარი პური ბათუმიდგან 1. 946, 047 ფუთი და გაუგზავნიათ აქედგან 74, 240 ფუთი. 1893 წ. მოუტანიათ 3. 382, 187 ფუთი, გაუგზავნიათ 130, 140, 1894 წ. მოუტანიათ 2. 836, 589 ფუთი, გაუგზავნიათ 90, 277 ფ. *) ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ ეს პური თვისებით ჩვენს პურზედ უფრო უკეთესია, როგორც თვით გლეხები ამბობენ, უკეთესად არის გაკეთებული და დაფქული, უფრო თეთრი და ძარღვიანია. ფასითაც თუმცა ცოტად ძვირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამ ცოტაოდენ სიძვირეს ყურადღებას არ აქცევს და როდესაც კახეთში უკეთესი შოთების გამოცხობა უნდათ, ან რუსეთის ფქვილი უნდა იხმარონ, ან რამდენიმე ნაწილი მაინც უნდა გაურიონ ჩვენს ფქვილში. რასაკვირველია, ამოდენა გადმოსატან ხარჯს რუსეთიდგან მოტანილი ფქვილი ვერ გაუძლებდა და ჩვენებურს პურს ბაზარს არ დაუკარგავდა, თუ ადგილობრივი წარმოება უფრო იაფად არ უჯდეთ, ვიდრე ჩვენ.—ეს იაფად მოყვანა საუკეთესო პურისა სამეურნეო ტეხნიკის გაუკეთესების შედეგია, სხვათა შორის, მეტადრე სამხრეთ რუსეთში, სადაც რკინის გუთნები, სალეწავი და სათესი მანქანები ძლიერ გავრცელებულია. რადგანაც სამეურნეო ტეხნიკა და მეტადრე გადატან-გადმოტანის ხარჯი საზღვარგარეთ უფრო ნაკლებია, ვიდრე რუსეთში, რუსეთის პურს ბევრჯელ მეტოქეობა ვერ გაუწევია ამერიკელ და ინდოეთ-ავსტრალიის პურისათვის და რასაკვირველია, ჩვენისთანა ქვეყანაში პურის ბაზარს უფრო ადვილად ჩაიგდებენ რუსეთის ვაჭრები ხელში, ვიდრე სხვაგან.

ჩვენ, რასაკვირველია, ამისთანა საეკონომიო გარემოებას ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ სამეურნეო ტეხნიკის გაუკეთესებით, რომელშიაც გაუკეთესებულ სამეურნეო მანქანების გავრცელებას მდაბიო ხალხთა შორის ერთი უდიდესი ადგილი უჭირავს. გარდა ამისა ბევრგან საქართველოში გლეხის მეურნეობა ვერა სდგას მტკიცე საძირკველზედ მიწის სიცოტაობის გამო. მიწის ნაკლებობა ნება-უნებლიეთ უპირატესობას აძლევს ერთს რომელსამე სამეურნეო მცენარეს—ან ვაზს, ან პურსა და თუ რომელიმე მოულოდნელმა ბუნების შემთხვევამ მოსპო მოსავალი ერთ-ერთის მცენარისა, მაშინ რადგანაც მეურნეობას სხვა რიგი წარმოება არ ეპოვება, ერთბაშად ხალხი დიდს გაჭირვებაში ვარდება. უდიდესი საგანი ჩვენის შინაგანის სამეურნეო პოლიტიკისა ის არის, რომ როგორმე უნდა ვეცადოთ და გავამრავლოთ ჩვენის სოფლის მეურნეობაში მოყვანა სხვა-და სხვა გვარ მცენარეებისა და ამასთან ერთად ხელი შევუწყოთ აწ დაცემულის სოფლის მრეწველობის აღორძინებას.

რასაკვირველია ამ მხრივ დიდად სანატრელი არის სათავად-აზნაუ[illegible] სამეურნეო და სამრეწველო სკოლის საჩქაროდ დაარსება მით უფრო, რომ სკოლის პროექტი უკვე შედგენილია და მამულებიც მზად არის.

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენთვის საჭიროა, რაც-კი შეიძლება საჩქაროდ შევუდგეთ ძირიან-ფესვიანად შესწავლას ჩვენის სოფლის ცხოვრებისას, მის გაჭირვებას, როგორც მიწის მეტ-ნაკლებობისა და სამეურნეო ტეხნიკის მდგომარეობისა, აგრეთვე სხვა მრავალგვარ გარემოების გამოკვლევას. ეს ჩვენი უპირველესი საერო საქმეა, რომელიც გამოწვეულია საქართველოს ახლანდელ მდგომარეობის მიერ.

ვიდრე დაწვრილებით არ შევისწავლით ჩვენის სოფლის დღიურ ვარამს და მისს გაჭირვებას, მანამდის არც ერთს ჩვენ საზოგადო საქმეს შესაფერი ნაციონალური ელ-ფერი არ დაედება. თვით იმ სამეურნეო-სამრეწველო სკოლასაც-კი, რომლის განხორციელებას სულითა და გულით ეჭიდება ყველა განათლებული ქართველი, ვერ შევიძლებთ მივცეთ შესაფერი მიმართულება და მოწყობილება.

ნიკ. კავკასიძე.

*) О хлѣбномъ кризисѣ и необходимости устройства Сель.-хоз. биржи въ Тифлисѣ. „Кавказ. Сель. Хоз." №№ 72 и 73 за 1895 г.

დამასკიდგან იტყობინებიან, დრუზები აჯანყებულან. ერზინკიანისა და დამასკის კორპუსთა რედიფები კონსტანტინოპოლში გაიწვიეს სამსახურისათვის.

**ლონდონი.** იმ ნადიმზედ, რომელიც ლორდ-მერსა ჰქონდა, შეეხორა შორეულ აღმოსავლეთის საქმეებს, სოლსბერმა შენიშნა, რომ სრულიად უსაფუძვლოა ის ხმა, ვითომ რუსეთი პორტ-არტურიდგან რაიმეს გამოელოდესო. პრემიერმა განაცხადა: „ინგლისს შეუძლიან სრულიად დამშვიდებით მოეპყროს ყველას, ვინც-კი მას შეებრძოლება, ან ვაჭრობით დაუწყებს მეტოქეობასაო“. სომხეთა საქმის შესახებ სოლსბერიმ აქვი განაცხადა, რომ სულთანმა აღთქმული რეფორმები განახორციელოსო. ამასთანავე პრემიერმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ევროპის ყველა სახელმწიფონი ერთად ჰმოქმედებენ და ყველას ერთი სურვილი აქვთ, ევროპაში მშვიდობიანობა დაიცვანო. თუ რომ რეფორმებს არ შემოიღებენ, ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ ოტტომანის იმპერია დაეცემაო; მაგრამ სოლსბერის აზრით, სახელმწიფონი თანხმობას აცხადებენ ოსმალეთს მხარი დაუჭირონ, რომ ამითი ევროპისათვის საშიში შეტაკება თავიდგან აიცილონო.

**ლონდონი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ინგლისის ხმელთაშუა ესკადრა ექვსის ხომალდით კიდევ იქნება გაძლიერებული.

**ლონდონი.** რომიდგან ატყობინებენ „ტაიმს“-ს, რომ იტალიის ესკადრა ინგლისისასთან ერთად ზღვაში შესცურავს, თუ-კი ეს საჭირო იქნება მშვიდობიანობის დასაცველადაო.

30 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ჩრდილო-ამერიკის მართლმადიდებელ მისსიის უფროსს ყოვლად-უსამღვდელოესს ნიკოლოზს უწმიდესმა სინოდმა ნება-დაჰრთო მომავალ წლიდგან ამერიკის მართლმადიდებელ მცხოვრებთათვის გაზეთი გამოსცეს; გაზეთი ამ სახელით გამოვა: «ამერიკის მართლმადიდებელი მოამბე». გაზეთი სან-ფრანცისკოში გამოვა რუსულსა და ინგლისურს ენებზედ.

29 ოქტომბერს აკურთხეს ახალი სახლი უმაღლეს ქალთა კურსების კურის-მგდებელ ქალებისათვის საცხოვრებლად. კურთხევას დაესწრნენ: საერო განათლების მინისტრი, პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და სხვა წარჩინებულნი პირნი.

«ფინანსთა ვესტნიკ»-ში საჯაროდ გამოცხადებულია ამბავი მოსამზადებელ სამუშაოთა იმის შესახებ, როგორც უნდა იქმნან სამხრეთ გუბერნიებში ღვინოები გაყიდული სახელმწიფოს მიერ.

**კრონშტატდი.** უცხოეთში სამოგზაუროდ გავიდნენ 1-ლის რანგის კრეისერი «რიურიკი» და „დიმიტრი დონსკოი“.

**ვარშავა.** არხიეპისკოპოსმა ფლავიანმა, გენერალ-უბერნატორის თანადასწრებით გარდიხადა წესი ჯვარის დადგმისა ვაჟთა გიმნაზიის ეკკლესიაზედ, სადაც ამ სამასის წლის წინად დროებით ვასილი და დიმიტრი შუისკების გვამი იყო დასაფლავებული.

**პეტროზავოდსკი.** ამ რამდენიმე დღის წინად კლიმეცკის კუნძულის მახლობლად მეთევზეებმა იპოვნეს გლეხი ეროშკინი, ასე 22 წლისა, რომელმაც ხომალდზედ ზარალისა გამო ლუზას თურმე მიაბა თავისი თავი, რომელიც თავისს მხრივ ხომალდის ქიმის კოჭზედ იყო მიბმული; თერთმეტი დღე და ღამე თურმე დასცურავდა ამ ყოფით ეს გლეხი ონეგის ტბაში. ეროშკინს საავადმყოფოში ფეხების ოპერაცია გაუკეთეს.

**ვლადივოსტოკი.** ფორმოზიდგან იუწყებიან, აჯანყებულთა წინამძღოლი ჩინეთში გაიქცაო. სამხრეთ იაპონიის მხედრობის მთავარი საცხოვრებელი—შენობა ტაინაკშია, სადაც კაბაიამი მივიდაო. ადგილობრივნი მცხოვრებნი ენერგიულს წინაამდეგობას უწევენ, ამის გამო იაპონიიდგან ახალ-ახალი ჯარები მოდის სულ.

**პარიზი.** როგორც ხმა ისმის, ბურჟუას განზრახვა აქვს ფინანსთა მინისტრობა როტშილდსა სთხოვოსო.

**ვენა.** სოფიის გაზეთი „თავისუფლება“ იუწყება, რომ მას მიუღია ტირნოვოდგან ტექსტი იმ დეპეშისა, რომელიც საერო კრების გახსნის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა სტოილოვმა და კრების თავმჯდომარემ ტოდოროვმა წარუგზავნეს მიტროპოლიტს. დეპეშაში ნათქვამია: „ხალხის სურვილი შესრულდა: ბორისი 18 ნოემბერს მართლმადიდებელს სარწმუნოებას შეუერთდება“.

**კონსტანტინოპოლი.** საქმის გარემოება თან-და-თან სერიოზულს ხასიათს იღებს.

**ლონდონი.** სოლსბერს განზრახვა აქვს საერთაშორისო კონგრესს მოუწოდოს.

**პეკინი.** ხელი მოაწერეს იმ თანხმობას, რომ ლიატონგის ნახევარკუნძული გასწმინდონ იაპონელებმა.

---

„ივერიის“ ფოსტა.

**ს. მთვარელიშვილს.** გაზეთი თქვენს სახელზედ ფოსტაში იგზავნება, ხოლო თუ თქვენამდის ვერ მოდის, ამაში რედაქციას ბრალი არ ედება.

---


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. ხოროშკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. ჯარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½, საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—21).

---

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,
**ბ. მ. მირიმანიანისა,**
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.
Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.
(24—1819—24)

---

# ვეკილი

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში
# ცხოვრება
მეფე გიორგისა
აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
**ფასი ერთი მანეთი.**

---

# ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა ❦ ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ახალი გამოცემანი:
# სამზარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
**ფასი მანეთ ნახევარი.**

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
# აღა-მაჰმად-ხანის
შემოსევა ქ. ტფილისში,
**თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.**
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოკში.

---

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ თარგმანი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა.
# „კულტურა“
ანუ
კაცობრიობის გონებრივი და ზნეობრივი განათლება.
თხზულება იულ. ლიპპერტისა.

ეს თარგმანი გამოვა სამ წიგნად და ეღირება თითო მანეთად. თუ ამ თავითვე წიგნების შემძენნი ისურვებენ ხელის მოწერას და ამ თავითვე საფასურს გარდაიხდიან—იმათ დაეთმობათ სამივე წიგნი ორ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება: ქ. ტფილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცლებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში“. ქუთაისში—ვასილ ბეჟანეიშვილთან; ბათუმში—გერონტი კალანდაძესთან; თელავში—ილია იმერლიშვილთან და გორში—არსენ კალანდაძესთან.

(8—უ—7)

---

გამოვიდა ❦ ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
# მამის ერთგული
მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.
ფასი 15 კ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა. . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 10 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | » | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія России съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 50 |


Дозволено цензурою. Тифлисъ 30-го Октября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.